

### „ორბებრ ბანახლების“ ძალა

ცნობილ ქართველ მეცნიერს, ასირიოლოგს, სემიტოლოგს, ქართველოლოგს, ბიბლიოლოგს, ფოლკლორისტს, ლიტერატურათმცოდნეს, ამასთანავე, მწერალს, მთარგმნელს, ესეისტს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერეტუსს და ჟურნალ *კადმოსის* მთავარ რედაქტორს, ბატონ ზურაბ კიკნაძეს ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღი ილიას უნივერსიტეტში სამი სამეცნიერო კონფერენციითა და საუნივერსიტეტო-კვლევითი სემინარით აღინიშნა, გამოიცა ზურაბ კიკნაძისადმი მიძღვნილი კრებული, შეძლებისდაგვარად შეფასდა მისი მრავალმხრივი სამეცნიერო და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობა.

ეს უკანასკნელი საკმაოდ რთული ამოცანა გამოდგა. 40-ზე მეტი მონოგრაფიის, 500-ზე მეტი პუბლიკაციისა და თარგმანის მიმოხილვა, კლასიფიკაცია თუ შეფასება, ამჯერად მხოლოდ ნაწილობრივ, ფრაგმენტულად მოხერხდა. ასეთი მრავალმხრივი სამეცნიერო მემკვიდრეობის პირობებში რთულია ფოკუსირება დარგის/დარგების განვითარებაში მეცნიერის როლსა და დამსახურებაზე, ან მისი ცხოვრების ყველაზე აქტიურ სასწავლო-სამეცნიერო პერიოდზე.

ბატონი ზურაბის შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო რთულადაა. ჭირს დადგენა, რომელია მისი მთავარი სპეციალობა, რომელი პუბლიკაციებია კონკრეტული დარგისთვის უფრო მნიშვნელოვანი, აღმოსავლეთმცოდნეობისა თუ ბიბლიესტიკის მიმართულებების, ქართული ფილოლოგიისა თუ საისტორიო მეცნიერებების, ხელოვნების ისტორიისა თუ ლიტერატურათმცოდნეობის, თეოლოგიისა თუ ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის, რელიგიათმცოდნეობისა თუ ტექსტოლოგიის, ლიტერატურის სოციოლოგიის, თარგმანთმცოდნეობისა თუ, ზოგადად, კულტურის კვლევებისა. ამაში ვერც ბატონი ზურაბის პუბლიკაციების სრული ბიბლიოგრაფია დაგვეხმარება. რაოდენობრივი ან, გნებავთ, თვისებრივი

კრიტიკერიუმებიტაც ჭირს რომელიმე მიმართულების გამორჩევა, წინა პლანზე გადმოტანა. თუ მაინცდამაინც, ვფიქრობთ, პროფესორ ზურაბ კიკნაძის სპეციალობა ყველაზე ახლოსაა დარგთან, რომელსაც გერმანულ სივრცეში *Altphilologie*-ს უწოდებენ: მეცნიერება ძველი ენებისა და ლიტერატურების შესახებ.

კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა ზურაბ კიკნაძის სამეცნიერო-საგანმანათლებლო თუ სალიტერატურო-მთარგმნელობით საქმიანობაში ყველაზე აქტიური პერიოდის გამოყოფა. არა აქვს მნიშვნელობა, როდის, რა სირთულეების ფონზე ან რომელ ასაკში უხდება ბატონ ზურაბს ახალი საქმის დაწყება, ახალი კონტექსტის შექმნა. ის არწივის ძალას მოიკრებს ხოლმე და ძველი აღმოსავლური, ან ბიბლიური ტრადიციის ქტიტორად, განმახლებლად მოგვევლინება. შდრ. „ხოლო აღმოგვეკითხავს არწივისათვის, ვითარმედ მესუთესა წელსა კუალად დაძულებული იგი და მზისგან განკურვებული შთაკდების წყალსა და განიყრის ფრთეთა და განახლების“ (*ფსალმუნთა თარგმანება*, ხელნ. Kut. 29, XIII ს.).

სწორედ ამგვარი შემართებით დააარსა ზურაბ კიკნაძემ 90-იან წლებში სასწავლო-საგანმანათლებლო სემინარი, რომელსაც, მაშინდელი არასასემინარო თუ არასამეცნიერო კონტექსტისა და წინაპირობების მიუხედავად, არასდროს მოჰკლებია მსმენელი და „გულისკმისმყოფელი“. მოგვიანებით, 2009 წელს, ბატონმა ზურაბმა სრულიად ახალი ტიპის სამეცნიერო დისკუსიის სივრცე შექმნა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დააარსა ჟურნალი „კადმოსი“, რომელიც ჰუმანიტარული დარგის ქართული სამეცნიერო ჟურნალებიდან პირველი შევიდა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ნუსხაში.

მაინც საიდან იღებს სათავეს ბატონი ზურაბის ”ორბებრ განახლების” ძალა, ქტიტორის ენერგია? ამ კითხვაზე პასუხს მისსავე ნაწერებში თუ ამოვიკითხავთ. თავის ნოველაში *ბუკინისტი* ზურაბ კიკნაძე საინტერესოდ ჰყვება ხელმოკლე მკითხველი სტუდენტებისა (თავად ბატონი ზურაბი და მისი მეგობარი ედიშერ გიორგაძე) და თბილისელი წიგნით მოვაჭრეების ურთიერთობის ისტორიებს, ბუკინისტისა და მუშტარი მკითხველის დამოკიდებულებას წიგნის მიმართ, სვამს კითხვას წიგნის ფუნქციათა ტრანსფორმაციის შესახებ წინა საუკუნის ბეჭდური სამყაროდან თანამედროვე დიგიტალურ სივრცეში. სუმბათას, ვანოს, პეხოს, ბოლოს კი კიმოთეს ხელში არა მარტო თბილისელი ბუკინისტი მოკვდა, ეპოქაც დამთავრდა: „კიმოთეს ბოლო წლები ბუკინიზმის დეგრადაციის წლები იყო. ის მოესწრო მის სულის ლაფვას... დგებოდა, დადგა კიდევ ახალი დროება, რომელმაც სრულიად ახალი ურთიერთობანი მოიტანა კლიენტსა და ბუკინისტს შორის, წიგნსა და პატრონს შორის. წიგნს იღუმალება დაეკარგა, როგორც გარეთ გამოსულ მზეთუნახავს.“

იუბილარი მთხრობელი ორივე ეპოქის მგზავრია და სწორედ მათი შეხვედრის ადგილიდან უთვალთვალეებს ბეჭდური წიგნის ტრანსფორმაციის პროცესს; ხედავს, როგორ აქცია თანამედროვე დიგიტალურმა სამყარომ წიგნის, როგორც მზეთუნახავის, მეტაფორა უკვე ისტორიული (ბეჭდური) ეპოქის რელიქტად. „ორბებრ განახლების“ ძალა ეხმარება ბატონ ზურაბს, ზუსტი, მკაფიო მეტაფორით აღწეროს ეს მნიშვნელოვანი ცვლილება: ერთი მხრივ, ბეჭდური წიგნი-მზეთუნახავი, მისი ფუნქცია და ეპოქალური სიმბოლიზმი და, მეორე მხრივ, წიგნი, როგორც გარეთ გამოსული მზეთუნახავი უკვე ახალ, დიგიტალურ სამყაროში.

ორი ეპოქის გზაგასაყარიდან კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს ჩვენი ნაკლი, ჩამორჩენა: თანამედროვე სამყარო დიგიტალურ მარათონს დაემსგავსა, ვინ უფრო სწრაფად მოიპოვებს, გადაამუშავებს და გადასცემს ვალიდურ ინფორმაციას. ჩვენ კი არსად გვეჩქარება, „ჩვენ ჯერ კიდევ წიგნურ ცივილიზაციაში ვიმყოფებით და კომპიუტერული ტექნიკა მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს“ (ზ. კიკნაძე, *ბუკინისტები*). არადა, აშკარაა, რომ ეს მარათონი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს: ენის (განსაკუთრებით ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ქვეყნისა) სიცოცხლისუნარიანობა, მისი სამომავლო პერსპექტივა, ახალ საინფორმაციო რეალობაში ენის მოქნილობაზე, ამ ენის მატარებელთა „ორბებრ განახლების“ უნარზეა დამოკიდებული.

პროფესორ ზურაბ კიკნაძის ლექციები სწორედ ამ უნარს უვითარებს მომავალ თაობას; ერთია, რომ ასწავლის, აჩვენებს, როგორ ამოვიცნოთ *ეპოქალური სიმბოლიზმი*, დავინახოთ საგნები და მოვლენები მათსავე კუთვნილ დროსა და სივრცეში. მეორეა, რომ *ორბებრ განახლების* ძალას ჰმატებს.

*ნინო დობორჯგინიძე*